# [დამატება]   ახალი წესები * 2017 შემოდგომა

გარდა ამისა, "მსოფლიო რაგბმა" ამ კვირაში დამატებით მოიწონა ის სიახლეებიც, რომლებიც 20 წლამდელთა მსოფლიო პირველობის გახსნის წინა საღამოს უეცრად გამოამზეურა და ამ ტურნირში "დახურულ რეჟიმში" გამოსცადა

რაკი ექსპერიმენტმა გაამართლა, ეს სიახლეებიც სრულად დაინერგება: ჩრდილოეთ ნახევარ'სფეროში – და ამდენად საქართველოშიც – შემოდგომიდან, ხოლო სამხრეთში – ახალი, 2018 წლიდან

ეს, დამატებითი სიახლეები იმოქმედებს 2017 წლის ნოემბრის ტესტებში, მაგრამ არა ქალთა მსოფლიო თასზე, რადგან მანდილოსნებს მათ შესათვისებლად (თურმე) დრო ვერ ეყო(ფა)თ

"დამატებით სიახლეთაგან" სამი ეხება ბოჭვა | რაქს და სამიც შერკინებას:

1. მბოჭავი უნდა წამოდგეს და ბურთისთვის იბრძოლოს მხოლოდ ჭიშკრიდან – აქამდე წამომდგარს, საიდანაც მოესურვებოდა, იქედან შეეძლო თამაში

2. ჩასწორდა ბოჭვის შემდგომი ეპიზოდის – რაქის განსაზღვრ(ებ)ა:

ამიერიდან: შებოჭილი, მბოჭავ(ებ)ი და მინიმუმ ერთი, ფეხზე მდგარი, ვინაც ბურთს "თავზე ადგას" (ანუ მესამე) – უკვე რაქია

მაშინვე ივლება თამაშგარეს ხაზი მოედნის მთელ სიგანეზე

"ფეხზე მდგარს" შეუძლია (ხელით) უმალ აიღოს ბურთი, მაგრამ როგორც კი მას მეტოქე დაეჭიდება, ხელით თამაში ორივე მხარეს ეკრძალება

კანონ'მდებლების აზრით, წესის ასე ჩასწორებით გამოირიცხება მახე, რომელიც ინგლისს "ექვს ერზე" წლეულს დაუგო იტალიამ

3. მოთამაშემ ბურთი რაქიდან არ უნდა გამოაგდოს ფეხის მირტყმით – ნება'დართულია მხოლოდ (ტერფით) უკან გაგორება

სასჯელი: ჯარიმა

4. მსაჯი 9 ნომერს აღარ ანიშნებს, ბურთი შერკინებაში შეაგორეო

9 ნომერმა ბურთი შუაში (!) უნდა შეაგოროს, მაგრამ შეუძლია ისე დადგეს, რომ მარცხენა მხარი გვირაბის ღერძზე გაისწოროს

კანონ'მდებლების აზრით, ასე დადგომა უფრო სამართლიანია

5. შერკინებაში ბურთის შეგორების შემდეგ შემგორებელი გუნდის პირველი ხაზის რომელიმე მოთამაშემ აუცილებლად უნდა დაჰკრას ბურთს ფეხი

სასჯელი: თავისუფალი

6. 8 ნომერს ნება დაერთო, (ხელით) აიღოს მეორე'ხაზელთა ფეხებთან დებული ბურთი

21/07_2017 @ 12.15